საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №67/ნ
2016 წლის 10 ივნისი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №13/ნ - ვებგვერდი, 06.08.2018წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №56/ნ - ვებგვერდი, 30.07.2021წ.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №13/ნ - ვებგვერდი, 06.08.2018წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №56/ნ - ვებგვერდი, 30.07.2021წ.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 06 მაისის №36/ნ ბრძანება.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი — **ალექსანდრე ჯეჯელავა**

დანართი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №13/ნ - ვებგვერდი, 06.08.2018წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №56/ნ - ვებგვერდი, 30.07.2021წ.

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის რეგულირების სფერო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში სტაჟირების გავლის წესი (შემდგომ – წესი) განსაზღვრავს სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში, სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში – საგანმანათლებლო რესურსცენტრებში (შემდგომ – საგანმანათლებლო რესურსცენტრი) და სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის

იურიდიულ პირებში (შემდგომ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი), გარდა საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №13/ნ - ვებგვერდი, 06.08.2018წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 მარტის ბრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 25.03.2019წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №56/ნ - ვებგვერდი, 30.07.2021წ.

მუხლი 2. სტაჟირების მიზანი
სტაჟირების მიზანს წარმოადგენს მაღალკვალიფიციური პერსონალის მომზადება, სტაჟიორების პროფესიული ზრდა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და განვითარება.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება
ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
ა) სტაჟირება – სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულში, საგანმანათლებლო რესურსცენტრებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, გარდა საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, ამ წესით რეგულირებული საქმიანობა, ანაზღაურების გარეშე;

ბ) სტაჟიორი – პირი, რომელიც ამ წესის საფუძველზე გადის სტაჟირებას;

გ) სტაჟირების გავლის მსურველი - პირი, რომელიც ელექტრონულად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის/სხვა მსგავსი ტიპის ალტერნატიული საშუალებით ან მატერიალური სახით, აკეთებს განაცხადს სტაჟირების გავლის თაობაზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 მარტის ბრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 25.03.2019წ.

მუხლი 4. სტაჟიორი
სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და:
ა) აქვს უმაღლესი/პროფესიული განათლება იმ მიმართულებით, რომელიც განსაზღვრულია კანდიდატებისათვის დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, სამინისტროს იმ სტრუქტურულ ერთეულში/საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტრუქტურულ ერთეულში/საგანმანათლებლო რესურსცენტრში, სადაც პირმა უნდა გაიაროს სტაჟირება;

ბ) იღებს უმაღლეს/პროფესიულ განათლებას იმ მიმართულებით, რომელიც განსაზღვრულია კანდიდატებისათვის დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, სამინისტროს იმ სტრუქტურულ ერთეულში/საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტრუქტურულ ერთეულში/საგანმანათლებლო რესურსცენტრში, სადაც პირმა უნდა გაიაროს სტაჟირება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 მარტის ბრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 25.03.2019წ.

მუხლი 5. სტაჟიორთა რაოდენობა
1. სტაჟიორთა რაოდენობა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულში, საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში არ უნდა აღემატებოდეს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის/საგანმანათლებლო რესურსცენტრის/საჯარო სამართლის იურიდიული პირის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოსამსახურეთა 50%-ს.
2. სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სტაჟიორთა რაოდენობა კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე აღინიშნება სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) ჩატარების შესახებ განცხადებაში.

თავი II
სტაჟიორთა შესარჩევი კომისია

მუხლი 6. სამინისტროში სტაჟიორთა შერჩევა კონკურსის საფუძველზე

1. სამინისტროში კონკურსს, გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა, ატარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) მიერ შექმნილი სტაჟიორთა შესარჩევი კომისია/კომისიები (შემდგომში – კომისია).
2. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და არანაკლებ 2 (ორი) წევრისგან, რომლებსაც ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრი. კომისიის წევრები თავის უფლებამოსილებას ახორციელებენ ანაზღაურების გარეშე.

3. კომისიას ჰყავს მდივანი, რომელსაც არ აქვს ხმის უფლება.

4. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში.

5. კომისიის მდივანი აგვარებს კონკურსთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს, ადგენს კომისიის სხდომათა ოქმებს, აწარმოებს საჭირო დოკუმენტაციას და ამზადებს სხვა შესაბამის მასალას.

6. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

7. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

8. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის დამსწრე წევრები და კომისიის მდივანი.

9. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც აღინიშნება ოქმში.

10. სამინისტროს სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის თემატიკას/საკვალიფიკაციო მოთხოვნებს განსაზღვრავს კომისია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №13/ნ - ვებგვერდი, 06.08.2018წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №56/ნ - ვებგვერდი, 30.07.2021წ.

მუხლი 7. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრებში სტაჟიორთა შერჩევა კონკურსის საფუძველზე

1. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრებში სტაჟიორთა შერჩევა ხდება კონკურსის წესით, რომელსაც ატარებს შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის მიერ შექმნილი კომისია.
2. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრებში კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი.

3. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრებში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის ფორმა, ვადა, თემატიკა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, რაც აღინიშნება კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადებაში.

თავი III
კონკურსის გავლა, სტაჟიორის მიღება

მუხლი 8. განაცხადი კონკურსზე

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, სტაჟირების გავლის მსურველმა, ელექტრონულად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის/სხვა მსგავსი ტიპის ალტერნატიული საშუალებებით უნდა გააკეთოს განაცხადი სტაჟირების გავლის თაობაზე.

2. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრებში განაცხადების მიღებისა და განხილვის ვადას განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის მიერ შექმნილი კომისია. აღნიშნული ვადა მიეთითება კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში.

მუხლი 9. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

ა) განაცხადების გადარჩევა;

ბ) ტესტირება;

გ) გასაუბრება.

2. კონკურსის ეტაპებთან დაკავშირებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს კომისია, რაც აისახება შესაბამის ოქმში.

მუხლი 10. კონკურსის საორგანიზაციო საკითხები

1. სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულში სტაჟიორთა მიღების პროცედურებსა და სტაჟირების გავლას საერთო კოორდინაციას უწევს სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო (შემდგომში – ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო), ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირების/საგანმანათლებლო რესურსცენტრების შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი.

2. კონკურსის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას, მათ შორის, სტაჟირების გავლის მსურველთა განაცხადების გადარჩევას (წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემოწმებას) უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს შესაბამისი თანამშრომელი და საჯარო სამართლის იურიდიული პირების/საგანმანათლებლო რესურსცენტრების შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეულის შესაბამისი თანამშრომელი.

3. სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა დოკუმენტაციის წარდგენა და რეგისტრაცია წარმოებს ელექტრონულად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის ან სხვა მსგავსი ტიპის ალტერნატიული საშუალებებით კონკურსის გამოცხადებიდან არანაკლებ 10 (ათი) დღის განმავლობაში.

4. კომისიის წარდგინების საფუძველზე, მინისტრი, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრებში, შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი იღებს სტაჟირების გავლის მსურველის სტაჟიორად დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელიც ფორმდება ბრძანებით. ბრძანებაში მიეთითება სამინისტროს სტრუქტურული ერთეული, საგანმანათლებლო რესურსცენტრი ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირის სათანადო სტრუქტურული ერთეული, სადაც დაინიშნება სტაჟიორი, ასევე სტაჟიორის ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სტაჟირების გავლის პროცესს.

5. სტაჟირების გავლის მსურველი, რომელიც კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიის თავმჯდომარის მიერ წარდგენილია სტაჟიორად დასანიშნად ან სტაჟიორად უნდა დაინიშნოს ამ წესის მე-14 მუხლით გათვალისწინებული წესით, შესაბამისი დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელ პირს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) რეზიუმე (დანართი №1);

გ) 2 ფოტო სურათი 3/4-ზე და ერთი - CD ფორმატზე ჩაწერილი;

დ) დიპლომის ასლი ან ცნობა უმაღლესი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;

ე) რეკომენდაცია.

6. სტაჟირების გავლის მსურველი, უცხო ქვეყნის უმაღლესი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელიც კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიის თავმჯდომარის მიერ წარდგენილია სტაჟიორად დასანიშნად ან სტაჟიორად უნდა დაინიშნოს ამ წესის მე-14 მუხლით გათვალისწინებული წესით, შესაბამისი დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელ პირს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) განცხადებას, სადაც მითითებული იქნება უცხო ქვეყნის უმაღლესი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, კურსი/ფაკულტეტი;

ბ) მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) რეზიუმე (დანართი №1);

დ) 2 ფოტო სურათი 3/4-ზე და ერთი – CD ფორმატზე ჩაწერილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 26 დეკემბრის ბრძანება №205/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 მარტის ბრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 25.03.2019წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 24 დეკემბრის ბრძანება №103/ნ - ვებგვერდი, 24.12.2021წ.

მუხლი 11. კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადება

1. სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსს აცხადებს სამინისტრო/საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან საგანმანათლებლო რესურსცენტრი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის და/ან სხვა მსგავსი ტიპის ალტერნატიული საშუალებით.
2. კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს მონაცემებს:

ა) იმ სტრუქტურული ერთეულის/ერთეულის ან საგანმანათლებლო რესურსცენტრის დასახელებას, სადაც ცხადდება კონკურსი;

ბ) კონკურსის თემატიკის, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკურსის ეტაპების შესახებ;

გ) მისაღებ სტაჟიორთა რაოდენობის შესახებ.

3. კომისიის გადაწყვეტილებით, დასაშვებია კონკურსის ჩატარების შესახებ სხვა სახის ინფორმაციის გამოქვეყნებაც.

4. კონკურსის პირველი ეტაპი უნდა ჩატარდეს კონკურსის გამოცხადებიდან არაუადრეს 10 (ათი) დღისა, ხოლო ყოველი მომდევნო ეტაპი – წინა ეტაპის დასრულებიდან გონივრულ ვადაში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 მარტის ბრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 25.03.2019წ.

მუხლი 12. კონკურსის პირობები

1. ტესტირების ეტაპზე არ დაიშვება სტაჟირების გავლის მსურველი, რომელიც ვერ გადალახავს განაცხადების გადარჩევის ეტაპს.
2. თუ კონკურსი მოიცავს ტესტირების ეტაპს, გასაუბრების ეტაპზე არ დაიშვება სტაჟირების გავლის მსურველი, რომელიც ვერ გადალახავს ტესტირების ეტაპს.

3. ტესტის გადალახვისათვის საჭირო მინიმალური ზღვრული ქულის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იღებს კომისია. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით.

4. ტესტირების ჩატარებას უზრუნველყოფს – ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო, ხოლო საჯარო სამარათლის იურიდიული პირების ან საგანმანათლებლო რესურსცენტრების შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/ პირი.

5. სტაჟირების გავლის მსურველს კონკურსის თითოეული ეტაპის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ უნდა ეცნობოს მის ჩატარებამდე 2 (ორი) დღით ადრე მაინც.

6. სტაჟირების გავლის მსურველის სტაჟირების გავლისათვის წინასწარ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის, მოტივაციის, მისი პიროვნული/პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასების მიზნით, ტარდება გასაუბრება.

7. ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო, ხოლო საჯარო სამარათლის იურიდიული პირების ან საგანმანათლებლო რესურსცენტრების შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი, კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობებს ყოველ სტაჟირების გავლის მსურველს მათ მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ.

8. კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება ან კომისია ვერ შეარჩევს დადგენილი მოთხოვნების შესაბამის კანდიდატს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 26 დეკემბრის ბრძანება №205/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.

მუხლი 13. დავის გადაწყვეტა

დავები, რომლებიც წარმოიშობა კონკურსთან დაკავშირებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. სტაჟიორის დანიშვნა კონკურსის გავლის გარეშე

1. სტაჟირების გავლის მსურველის მატერიალური ფორმით წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, მინისტრი უფლებამოსილია, პირი კონკურსის გარეშე წარადგინოს საგანმანათლებლო რესურსცენტრში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში სტაჟიორად დასანიშნად. შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი წარდგენილ პირს სტაჟიორად ნიშნავს წარდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში. მინისტრის მიერ პირის კონკურსის გარეშე სტაჟიორად წარდგენისას სტაჟირების ვადა განისაზღვრება მინისტრის წარდგინებით.
2. კონკურსის გავლის გარეშე, სტაჟიორის მიღება, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულში შესაძლებელია მინისტრის ბრძანებით, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წერილობითი დასაბუთების წარდგენისა და სტაჟირების გავლის მსურველის მატერიალური ფორმით წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე.

2^1. მინისტრს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პირის, კონკურსის გავლის გარეშე, სამინისტროს სისტემაში, სტაჟიორად დანიშვნასთან დაკავშირებით.

3. მინისტრის მიერ პირის კონკურსის გავლის გარეშე სტაჟიორად დანიშვნის შემთხვევაში, სტაჟირების ვადა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

4. მინისტრის უფლებამოსილება, კომისიის წარდგინების საფუძველზე, ასევე კონკურსის გავლის გარეშე პირის სტაჟიორად დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, შესაძლებელია მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დელეგირებულ იქნეს მინისტრის მოადგილეზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 მარტის ბრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 25.03.2019წ.

თავი IV
სტაჟიორის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 15. სტაჟიორის უფლებები

სტაჟიორს უფლება აქვს:

ა) ხელმძღვანელის თანხმობით, გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას (მიმდინარე და საარქივო მასალებს), ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით (ელექტრონული საშუალებებით და სხვა), თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) ხელმძღვანელის თანხმობით დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში;

გ) გაეცნოს დაწესებულების მუშაობის სპეციფიკას, კონკრეტული მიმართულების საკითხებზე რეაგირებისათვის საჭირო შესაბამის პროცედურებს;

დ) მიმართოს ხელმძღვანელს მისი სხვა სტრუქტურულ ერთეულში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში ან საგანმანათლებლო რესურსცენტრში გადაყვანის შესახებ;

ე) საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენციის ფარგლებში, მიმართოს ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს, ხოლო საჯარო სამარათლის იურიდიული პირების ან საგანმანათლებლო რესურსცენტრების შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელ პირს.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 მარტის ბრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 25.03.2019წ.

მუხლი 16. სტაჟიორის ვალდებულებები

1. სტაჟიორი ვალდებულია:

ა) სტაჟიორად დანიშვნიდან, არაუგვიანეს 2 (ორი) კვირისა, საფუძვლიანად გაეცნოს დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობას;

ბ) სტაჟირების გავლის პროცესში ზედმიწევნით დაიცვას დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ) მითითებულ ვადებში შეასრულოს ყველა კანონიერი დავალება, რომელიც მას მიეცემა ხელმძღვანელის მიერ;

დ) კონტაქტი იქონიოს იმ დაწესებულების თანამშრომლებთან, სადაც გადის სტაჟირებას;

ე) დაიცვას აღნიშნული წესით დადგენილი მოთხოვნები, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისა და ტერიტორიული ორგანოს საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა და სხვა აქტები, რომლებიც, მათი შინაარსის გათვალისწინებით, სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება ვრცელდებოდეს სტაჟიორზე;

ვ) სტაჟირების გავლის პროცესში, ასევე სტაჟირების დასრულების შემდეგ არ გაავრცელოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია სამინისტროს საქმიანობასთან და მისთვის ცნობილი გახდა სტაჟირების გავლის პროცესში;

ზ) გაუფრთხილდეს დაწესებულების ქონებას, იზრუნოს მისთვის გადაცემული ნივთების მოვლაზე;

თ) სტაჟირების გავლის ადგილზე გამოცხადდეს და სტაჟირების ადგილი დატოვოს ამ წესის დანართი №2-ით გათვალისწინებული სტაჟირების გავლის გრაფიკის შესაბამისად.

2. კონტროლს სტაჟიორის მიერ მისი მოვალეობების შესრულებაზე ახორციელებს სტაჟიორის ხელმძღვანელი.

თავი V
სამინისტროს/ საჯარო სამართლის იურიდიული პირის / საგანმანათლებლო რესურსცენტრის მოვალეობები

მუხლი 17. სამინისტროს/საჯარო სამართლის იურიდიული პირის/საგანმანათლებლო რესურსცენტრის მოვალეობები

1. სამინისტრო/საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან საგანმანათლებლო რესურსცენტრი სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად/განსავითარებლად.
2. ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს შესაბამისი თანამშრომელი, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირების ან საგანმანათლებლო რესურსცენტრების შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/ პირი:

ა) უზრუნველყოფს სტაჟიორისათვის დაწესებულების სტრუქტურის გაცნობას და წარუდგენს სტაჟიორს თავის ხელმძღვანელს;

ბ) სტაჟიორის დანიშვნიდან 2 (ორი) კვირის შემდეგ, ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს შესაბამისი თანამშრომელი, ხოლო საჯარო სამარათლის იურიდიული პირების ან საგანმანათლებლო რესურსცენტრების შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ხვდება სტაჟიორს/სტაჟიორებს და მასთან/მათთან ერთად განიხილავს დაწესებულებაში სტაჟირების გავლის პროცესს, ხოლო სტაჟირების პერიოდის დასრულებამდე ორი კვირის განმავლობაში უზრუნველყოფს სტაჟირების გავლის პროცესით კმაყოფილების კვლევის ჩატარებას პროცესის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით.

3. სტაჟიორის ხელმძღვანელი:

ა) უშუალოდ წარმართავს და კოორდინაციას უწევს სტაჟიორის საქმიანობას, აკონტროლებს მის მიერ ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას. კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობს სტაჟიორს თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელების პროცესში;

ბ) აცნობს სტაჟიორს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობას და აღნიშნული ერთეულის სტრუქტურას, საქმიანობის სფეროსა და სპეციფიკას;

გ) აძლევს სტაჟიორს შესასრულებელი სამუშაოს მიმართულებას და განუსაზღვრავს კონკრეტულ ვადას, აწვდის საქმიანობასთან დაკავშირებით დროულ და სწორ ინფორმაციას.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 მარტის ბრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 25.03.2019წ.

მუხლი 18. სტაჟიორის სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანა

1. მინისტრი/საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი უფლებამოსილია, სტაჟიორის ხელმძღვანელის ან მისი ზემდგომი უფროსის წარდგინების საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება სტაჟიორის სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანის შესახებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი წარმატებით გაივლის სტაჟირებას.
2. სტაჟიორის გადაყვანა შესაძლებელია მხოლოდ მისი წერილობითი თანხმობით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 მარტის ბრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 25.03.2019წ.

თავი VI
სტაჟირების ვადა

მუხლი 19. სტაჟირების ხანგრძლივობა

1. სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვრება 1 (ერთი) თვიდან 12 (თორმეტი) თვემდე ვადით;
2. მინისტრი უფლებამოსილია, სტაჟირების ვადის გასვლის შემდეგ, მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული სტაჟიორისთვის სტაჟირების ვადის გაგრძელების თაობაზე, სტაჟიორის/მისი

ხელმძღვანელის დადებითი შეფასების საფუძველზე. სტაჟირების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვადის ფარგლებში.

მუხლი 20. სტაჟირების შეწყვეტა

1. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სტაჟირების პერიოდში, არასაპატიო მიზეზით, ზედიზედ 5 (ხუთი) დღის განმავლობაში, სტაჟირების გავლის ადგილზე გამოუცხადებლობა ან ხშირი არყოფნა, რასაც სისტემატური ხასიათი აქვს;

გ) დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

დ) სტაჟიორის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა;

ე) შესაბამისი დაწესებულების/სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია;

ვ) სტაჟიორის გარდაცვალება.

2. სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი საკუთარი ინიციატივით ან სტაჟიორის ხელმძღვანელის ან მისი ზემდგომი უფროსის წინადადების საფუძველზე. საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრში, შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი.

3. სტაჟირების შეწყვეტის შემთხვევაში, სტაჟიორი 3 (სამი) დღის ვადაში სამინისტროს/საჯარო სამართლის იურიდიული პირების ან საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფლებამოსილ პირს აბარებს იმ მატერიალურ ფასეულობას, რაც მას სტაჟირების გავლის პერიოდში გადაეცა, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 მარტის ბრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 25.03.2019წ.

მუხლი 21. სტაჟირების დასრულება

1. სტაჟირების ვადის გასვლის შემდეგ, სტაჟიორის ხელმძღვანელი აფასებს სტაჟიორს დანართი №3-ით გათვალისწინებული სტაჟიორის შეფასების ფორმის მიხედვით.
2. სტაჟირების შედეგების დადებითი შეფასების შემთხვევაში, როდესაც საბოლოო შეფასება განისაზღვრება არანაკლებ 22 ქულით, სტაჟიორს ეძლევა სტაჟირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

3. სერტიფიკატის ფორმა განსაზღვრულია ამ წესის დანართი №4 შესაბამისად, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრში მტკიცდება შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით.

თავი VII
გარდამავალი დებულებები

მუხლი 22. გარდამავალი დებულებები

სტაჟიორებს, რომლებმაც სტაჟირება გაიარეს 2017 წელს, სტაჟირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი მიეცეთ ამ წესის 21-ე მუხლით გათვალისწინებული შეფასების გარეშე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 16 აპრილის ბრძანება №45/ნ - ვებგვერდი, 17.04.2018წ.

დანართი №1

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 მარტის ბრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 25.03.2019წ.

ფოტოსურათი

რეზიუმე

პირადი ინფორმაცია

გვარი, სახელი, მამის სახელი: _____

მოქალაქეობა: _____

დაბადების რიცხვი, თვე, წელი: _____

ოჯახური მდგომარეობა:

□ დასაოჯახებელი □ დაოჯახებული □ განქორწინებული

_____

ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი: _____

□ პირადობის მოწმობის □ პასპორტის № □ პირადი № _____

სახლის ტელეფონის №: _____ მობილური ტელეფონის №: _____

ელფოსტა: _____

განათლება

№	საგანმანათლებლო დაწესებულება	საგანმანათლებლო პერიოდი	ფაკულტეტი/ მიმართულება	ხარისხი

უცხო ენები (მიუთითეთ, რომელ უცხო ენებს ფლობთ და რა დონეზე)

უცხო ენები	უცხო ენების ცოდნა			
☐ ინგლისური	☐ სუსტად	☐ საშუალოდ	☐ კარგად	☐ ძალიან კარგად
☐ რუსული	☐ სუსტად	☐ საშუალოდ	☐ კარგად	☐ ძალიან კარგად
☐ გერმანული	☐ სუსტად	☐ საშუალოდ	☐ კარგად	☐ ძალიან კარგად
☐ ფრანგული	☐ სუსტად	☐ საშუალოდ	☐ კარგად	☐ ძალიან კარგად
☐ სხვა (მიუთითეთ რომელი) _____	☐ სუსტად	☐ საშუალოდ	☐ კარგად	☐ ძალიან კარგად

კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (მიუთითეთ რომელი პროგრამები იცით)

პროგრამები	პროგრამების ცოდნა			
	☐ სუსტად	☐ საშუალოდ	☐ კარგად	☐ ძალიან კარგად
	☐ სუსტად	☐ საშუალოდ	☐ კარგად	☐ ძალიან კარგად
	☐ სუსტად	☐ საშუალოდ	☐ კარგად	☐ ძალიან კარგად
	☐ სუსტად	☐ საშუალოდ	☐ კარგად	☐ ძალიან კარგად
	☐ სუსტად	☐ საშუალოდ	☐ კარგად	☐ ძალიან კარგად

სამუშაო გამოცდილება

№	ორგანიზაციის დასახელება	თანამდებობა	სამუშაო პერიოდი

ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ რეზიუმეში მითითებული ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს. თანახმა ვარ, სამინისტროს მიერ გადამოწმდეს აღნიშნული ინფორმაცია!

შევსების თარიღი: _____ _____ 20 წელი.

პირადი ხელმოწერა: _____

დანართი №2

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 მარტის ბრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 25.03.2019წ.

<u>სტაჟირების გრაფიკი</u>

სტრუქტურული ერთეული	ხელმძღვანელი (სახელი, გვარი)	სტაჟიორი (სახელი, გვარი)	კვირის დღე	შემოსვლის/გასვლის დრო

სტაჟიორის ხელმოწერა: _____

ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

დანართი №3

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 მარტის გრძანება №57/ნ - ვებგვერდი, 25.03.2019წ.

<u>სტაჟიორის შეფასების ფორმა</u>

დაწესებულება (დასახელება): _____

სტრუქტურული ერთეული: _____

სტაჟიორის სახელი/გვარი: _____

სტაჟიორის ხელმძღვანელი: _____

სტაჟირების დაწყების თარიღი: _____

სტაჟირების დასრულების თარიღი: _____

შევსების თარიღი: _____

№	შეფასების კრიტერიუმები	არ ვეთანხმები (1 ქულა)	ნაწილობრივ ვეთანხმები (2 ქულა)	სრულიად ვეთანხმები (3 ქულა)
1	იცავს ორგანიზაციული ქცევის ნორმებს			
2	ფლობს კონკრეტული სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას			
3	დავალებას ასრულებს ხარისხიანად			
4	დავალებას ასრულებს დადგენილ ვადებში			
5	ავლენს დამოუკიდებლად მუშაობის უნარს			
6	ავლენს გუნდურად მუშაობის უნარს			
7	ორიენტირებულია პროფესიულ განვითარებაზე			
8	ავლენს ტექნიკურ უნარ-ჩვევებს			
9	ავლენს კრიტიკული აზროვნების/ანალიზის უნარს			
10	ავლენს ინიციატივის გამოვლენის უნარს			
11	ავლენს კომუნიკაციის უნარს			

ქულა:

_____

დამატებითი კომენტარი/რეკომენდაცია სტაჟიორის შეფასებასთან დაკავშირებით:

სტაჟიორის ხელმძღვანელის ხელმოწერა: ----------

სტაჟიორის ხელმოწერა: ----------

დანართი №4

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №13/ნ - ვებგვერდი, 06.08.2018წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
Ministry of Education, Science, Culture And Sport of Georgia

სერტიფიკატი
CERTIFICATE

გადაეცა ..... მასზედ, რომ 201 წლის _____ 201 წლის _____

This is to certify that _____ From ..... To .....

წარმატებით გაიარა სტაჟირება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

Successfully Completed Internship At The Ministry of Education, Science, Culture And Sport of Georgia

მინისტრი
Minister _____

ქ. თბილისი
Tbilisi